მე-5 კლასის სადიაგნოსტიკო ტესტი მათემატიკაში

სახელი, გვარი _____

1) დაალაგე რიცხვები ზრდადობის მიხედვით: 34512765; 34651234; 44981231; 34511762.

2) დაამრგვალე რიცხვი ხაზგასმული თანრიგის სიზუსტით და დაასახელე ეს თანრიგი:
ა) 43<u>5</u> 367 001

ბ) 1<u>5</u> 643 887 970

3) ა) დაასახელე წერტილები, რომლებიც მდებარეობენ წრფეზე: _____

ბ) დაასახელე წერტილები, რომლებიც არ მდებარეობენ წრფეზე: _____



4) მოცემული ფიგურის ყოველი მომდევნო გვერდი 3 სმ-ით მეტია წინა გვერდზე. დაასახელე რა გეომეტრიული ფიგურაა ეს და იპოვე მისი სიგრძე.



5) ანდრეა სკოლაში 8 სთ 45 წთ-ზე მივიდა და სკოლიდან 14 სთ 30 წთ-ზე წამოვიდა. რა დროის განმავლობაში იყოანდრეა სკოლაში?

6) გაამარტივე ცვლადიანი გამოსახულება და გამოთვალე მისი მნიშვნელობა:
24 563x + 12 450y + 437x + 550y, თუ x= 23 და y= 18

7) იპოვე უცნობი წევრი:

ა) 5x= 234 875

ბ) 34 761 + x = 456 761

გ) x : 13 = 345 123

დ) x – 12 989 = 765 987

ე) 3x + 45 876 = 125 676

ვ) 116 051 : (356 712- x) = 13

LIVEWORKSHEETS

8) იპოვე x კუთხე:



9) დაასახელე სამკუთხედის ტიპი:



ა) კუთხეების მიხედვით: _____

ბ) გვერდების მიხედვით: _____

10) საწყობიდან 1-ელ დღეს გაიტანეს 456 198 კგ კარტოფილი. მე-2 დღეს 6-ჯერ მეტი, ვიდრე1-ელ დღეს. მე-3 დღეს __ 2 989 კგ-ით ნაკლები, ვიდრე მე-2 დღეს. მეოთხე დღეს__იმდენი, რაც წინა 3 დღეს გაიტანეს ერთად. რამდენი კგ კარტოფილი გაუტანიათ საწყობიდან ოთხივე დღეს?

11) მოტოციკლეტისტმა 1-ელ დღეს გაიარა 576 კმ, რაც 2-ჯერ მეტია მე-2 დღეს გავლილ მანძილზე. რამდენი კმ გაიარა მოტოციკლეტისტმა ორივე დღეს?

12) იპოვე გამოსახულების მნიშვნელობა:

$9^5 - 35\,799 \times 18 + 5^4 : 5 =$

LIVEWORKSHEETS